სს „გრინ დაზღვევა საქართველო“-ს

(ს.კ 404990435, რეგისტრაციის თარიღი: 13/05/2013,
იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ა. კალანდაძის ქ. N4)

2024 წლის 26 დეკემბრის

აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების კენჭისყრის შედეგები

დღის წესრიგი:

საკითხი №1

,,ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სს „გრინ დაზღვევა საქართველო“-ს მიერ საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტის სტატუსზე უარის თქმის (სტატუსის დაკარგვის) შესახებ.

გადაწყვეტილება:

1.,,ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სს „გრინ დაზღვევა საქართველო“-მ (ს/კ 4040990435) უარი თქვას/დაკარგოს საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტის სტატუსი.

2. სააქციო საზოგადოება „გრინ დაზღვევა საქართველო“-ს გენერალურ დირექტორს მიენიჭოს უფლება განახორციელოს ყველა სამართლებრივი ქმედება საზოგადოების საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტის სტატუსის დაკარგვასთან დაკავშირებით და ამ მიზნით გენერალური დირექტორი უფლებამოსილია საზოგადოების სახელით ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს.

დღის წესრიგის №1 საკითხზე ,,ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სს „გრინ დაზღვევა საქართველო“-ს მიერ საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტის სტატუსზე უარის თქმის (სტატუსის დაკარგვის) შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა საზოგადოების აქციონერის თანხმობით, რომელიც ფლობს - A კლასის 4,350,000 ცალ აქციას (4,350,000 ხმის უფლებით) და AA - კლასის 1,650,000 ცალ აქციას (24,750,000 ხმის უფლებით) - ჯამში - 6,000,000 აქციას (29,100,000 ხმის უფლებით), რაც შეადგენს საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციების ხმათა 99.99%-ს.